

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: არქეოლოგია

პაატაშვილი სოფიო

მკ.წ. XII-VI სს-ების კათხების  
ფორმალიზებული ანალიზის ერთი ცდა  
(თრელი გორები, ხოვლე, ნარეკვაკვი)

ნაშრომი შესრულებულია არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი - ვახტანგ ლიჩელი, პროფესორი,  
თსუ-ის არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო  
ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

თბილისი  
2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities

Master's Program – Archaeology

Paatahvili Sophio

One trial of formalized analysis  
According to 13<sup>th</sup> – 6<sup>th</sup> century “katkha”-s  
(Treligorebi, Khovle, Narekvavi)

The paper is performed to gain master's academic degree in archaeology

Supervisor – Vakhtang Licheli, Professor,  
Head of Institute of Archaeology at TSU

Tbilisi  
2019

## ანოტაცია

კვლევის საგანია გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში, შიდა ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებული თიხის ჭურჭლის ერთი ტიპის, კერძოდ კათხა/ტოლჩის მორფოლოგიური ნიშნების შესწავლა და მათი ქრონოლოგიურ შკალაში განთავსება. ნაშრომში განხილული მასალები მათივე სიმრავლიდან გამომდინარე შერჩეულ იქნა სამი ძირითადი ძეგლიდან. ესენია: თრელი გორები, ხოვლე და ნარეკვაკი, სადაც ჩვენი საკვლევი ობიექტი წარმოდგენილია სხვადასხვა სიმრავლით, განსხვავებული ქრონოლოგიური ჩარჩოებითა და ფორმებით.

ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენ ტერმინის იდენტიფიცირება და დამკვიდრება. ქართულ არქეოლოგიაში ერთი და იგივე მორფოლოგიური ნიშნების მატარებელი ჭურჭელი, რომელთა რიცხოვნობა მახასიათებელი იდენტურია ორი სხვადასხვა ტერმინით აღინიშნება, რაც ართულებს მათ შესწავლას. გარდა ამისა, არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ლიტერატურაში ეს ორი ტერმინი - კათხა/ტოლჩა ფარავს ერთმანეთს, თუმცა არსებული მოსაზრების მიხედვით ისინი განსხვავებული არტეფაქტებია წარმოდგენილი. კათხა/ტოლჩის ტერმინის მაიდენტიფიცირებელია ის მორფოლოგიური ანალიზი, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

მორფოლოგიური ანალიზი რომელიც ემყარება არქეოლოგიის ფორმალიზებული მეთოდოლოგიის სისტემით აღწერას, რაცგულისხმობს ნებისმიერი არტეფაქტის ფორმის განმსაზღვრელი ნიშნების ობიექტურად დაფიქსირებას. ამ მეთოდოლოგიის მიხედვით ხდება ფორმის ჩამომყალიბებელი ნიშნების კოდირება და მათი ერთიან სისტემაში მოქცევა.

შედეგად მივიღებთ გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში, შიდა ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებული ჭურჭლის კერძო სახის - კათხა/ტოლჩის შესწავლას პოსტპროცესუალური არქეოლოგიის ნორმებისა და დებულებების შესაბამისად. იგი წარმოადგენს წარმოადგენს კრებით ტერმინს, რომელიც აერთიანებს მთელ რიგ მიდგომებს წარსულისადმი. თითოეული მათგანის ფესვები მოიძებნება აზროვნების პოსტმოდერნისტულ მიმდინარეობაში, რომელიც 1980-1990 წლებში განვითარდა.

## **Anotation**

The aim of the research is to study morphological signs and chronological development of late bronze – early Iron Age mug-like vessels speared in Shida Kartli region. The materials for the research were selected from three main sites – Treligorebi, Khovle gora and Narekvavi. The one of the main reason why we choose these sites is the different variety of mug-like vessels and wide chronological line, from 13<sup>th</sup> century B.C. to 6<sup>th</sup> century B.C.

One of the main parts of the research is determining the name of this kind vessels. In Georgian archaeological literature there are two terms Kathkha and Tolcha. In the process of research difference of these two terms was not identified. The same types of vessels in some cases were called as Tolcha and in some cases as Katkha. So the goal was to find out the etymology of both terms and observe if there is any kind of differences in function or sizes.

The whole research is based on morphological analyses which are description of archaeology with help of formalized methodology. That means to identify morphological form of any kind archeological artifact after that every part of the artifact are divided in groups. It gives us opportunity to give codes to formulated shapes of pottery and place them in one system.

As a result we will get research of late bronze – early iron age Kathkha/Tolcha vessels according to the rules and regulations of postprocessor archeology. Postprocessualism is a collective term for a number of approaches to the past, all of which have roots in the postmodernist current of thought that developed in the 1980s and 1990s.

# სარჩევი

შესავალი.....	6
თავი I. კვლევის მეთოდოლოგია.....	10
1.1 პოსტპროცესუალური არქეოლოგია .....	13
1.2 ტერმინის იდენტიფიცირებისთვის .....	18
თავი II. არქეოლოგიური კონტექსტი .....	22
2.1 თრელის სამაროვნის ძვ.წ. XIII-XII საუკუნეების სამარხები .....	22
2.2 ნარეკვავის არქეოლოგიური ძეგლები .....	23
2.3 ხოვლე გორა .....	28
თავი III. ძვ.წ. XIII-VI სს-ებში გავრცელებული კათხების ანალიზი .....	31
3.1 თბილისში, ნარეკვავსა და ხოვლეში გავრცელებული კათხების კლასიფიკაცია ....	31
დასკვნა .....	38
გამოყენებული ლიტერატურა.....	41
ტაბულების აღწერა .....	42
ტაბულები .....	43

## შესავალი

ძვ.წ. V ათასწლეულიდან მოყოლებული ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორია იქცა იმ დერეფნად, რომელშიც სხვადასხვა მიმართულების მიგრაციული ტალღა მოძრაობდა. ძვ.წ. III-II ათასწლეულებში ამ რეგიონში დადასტურებულია არა მხოლოდ კერმიკული ნაწარმი, არამედ ნაირგვარი ლითონის არტეფაქტების იმპორტი და ექსპორტი. საფიქრალია, რომ ადრეული მიგრაციები დაკავშირებული იყო იმ ბუნებრივ პირობებთან, რომლითაც ამიერკავკასიის ეს რეგიონი გამოიჩევა.

ცენტრალური ამიერკავკასია, რომლის უდიდეს ნაწილსაც აღმოსავლეთ საქართველო წარმოადგენს, ხასიათდება მრვალაფეროვანი რელიეფითა და ბუნებრივი სიმდიდრეებით.

ამ მხარის მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ფაქტორად ითვლება მისი რელიეფი, რომელიც უმთავრესად მთიანია. ცენტრალური ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მთების ორი დიდი სისტემაა, ჩრდილოეთით - დიდი კავკასიონის ქედი, ხოლო სამხრეთით - შუა და კასპიის ზღვებს შორის - მცირე კავკასიონის მთების სისტემა. ორივე სისტემას მრავალი განტოტება აქვს, რაც ცენტრალურ ამიერკავკასიის რელიეფს მთაგორიანს ხდის.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის გეოგრაფიულ თავისებურებას ძირითადად მთიანი რელიეფი განსაზღვრავს, აქ გვხვდება არა ერთი ტენიანი და მშრალი დაბლობიც.

ბევრია შედარებით მცირე დაბლობიც, რომლებიც მიკრორაიონებში სოფლის მეურნეობის საფუძველს ქმნიან. აღმოსავლეთ საქართველოსი ასეთია - მთებით გარშემორტყმული შიდა ქართლის დაბლობი მტკვრის შუა დინების გასწვრივ (მუხრანისა და საგურამოს ველები) არაგვის ქვემო დინებამდე შიდა ქართლის დაბლობის სიმაღლე ზღვის დონიდან 745 მეტრია.<sup>1</sup>

გვიან ბრინჯაოს ადრეული ეტაპიდან ე.წ. ცენტრალური ამიერკავკასიური კულტურის წიაღში ჩნდება სამთავრულ-შიდაქართლური არქეოლოგიური

<sup>1</sup> ფიცხელაური კ., 1973: გვ. 9-10.

კულტურისათვის დამახასიათებელი გორანამოსახლარები. საზოგადოება, რომელმაც შიდა ქართლში ეს ნამოსახლარები შექმნა, მკვეთრი ინოვაციური სიახლეებით ხასიათდება, თუმცა მათი წარმომავლობის საკითხები დღემდე ღიად რჩება. ჩამოყლიბებულია ერთგვარი სისტემა, რომლის ქვესისტემები ( ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური) განვითარების თანაბარი დონით ხასიათდება. ამ ქვესისტემების ცალკეული ელემენტები განსხვავებული რელიეფურობით იჩენას თავს რეგონის სხვადასხვა ძეგლზე, რაც განპირობებულია არა იმდენად არქეოლოგიური ზმეგლების კვლევის მსაშტაბებით, რამდენადაც იმ ლოკალური თავისებურებებით, რაც ერთმანეთისაგან მკვეთრად განახვავებს ამ პერიოდის არქეოლოგიურ ნაშთებს. ამისი დასტურია თუნდაც ის სხვაობა, რაც კახეთისა და ქართლის ტერიტორიზე გამოვლენილ სინქრონულ ძეგლებს შორის შეინიშნება.

საზოგადოდ შეიძლება ითქვს, რომ ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია სამოსახლოების ქვის კედლითა თუ თხრილებით გამაგრება-დაცვა, რაც სახლთმშენებლობის ადრეული ეპოქისათვის სრულიად უცხო ტრადიციებია. ტერასაზე გამართული წაგრძელებული ოთხკუთხედის გეგმარების ნახევრადმიწურები, თიხამიწით შელესილი შიდა სივრცე, ინტერიერის მოწყობის დაკანონებული წეს-ჩვეულებები, ზურგის კედელთან - ჩრდილო-დასავლეთ ან ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში პურის საცხობი (სამზარეულო) ღუმელი, მის ერთ მხარეს კი- სალოცავი-საკურთხეველი; საცხოვრებლის ინტერიერის ორ გრძლივ ნაწილად გაყოფა, სადაც მარცხენა ადამიანების, ხოლო მარჯვენა საქონლის სადგომად იყო განუთვნილი.<sup>2</sup>

გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში თიხას ფართო გამოყენება აქვს. იგი გამოიყენება მეტალურგიულ და ლითონდამმუშავებელ წარმოებაში; აგრეთვე, თიხით ილესება საცხოვრებელ ნაგებობათა ხის კედლები და გადახურვა; ღუმელები და საკურთხევლები. თიხისგან მზადდება სხვადასხვა ღვთაებათა ქანდაკებები, საბეჭდავები და სხვა მრავალი. თუმცა ადამიანი თიხისაგან ყველაზე დიდი რაოდენობით ამზადებს ჭურჭელს.

---

<sup>2</sup> სადრაძე ვ., ხობოზაშვილი თ., ლლიღვაშვილი ე., 2018: გვ 29.

მიუხედავად ასეთი დიდი რაოდენობის ნაწარმისა, კერამიკული სახელოსნოები არც თუ დიდი რაოდენობით არის მიკლვეული. უძველესი სამეთუნეო სახელოსნო უბანი შესწავლილ იქნა ხოვლეს ნამოსახლარის მახლობლად. როგორც ფიქრობენ, ხოვლეს ძველ მოსახლეობას ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგიდან - ძვ.წ. IV საუკუნემდე ემსაურებოდა მეთუნეთა ცალკე სახელოსნო.

ხოვლეში სამეთუნეო უბანს ეჭირა ერთ ჰექტარზე მეტი ფართობი, სადაც დაცული იყო ერთმანეთის მომდევნო სამი ქრონოლოგიური პერიოდის ქურა-სახელოსნოები.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა უკანასკნელ წლებში გრაკლიან გრაზე მიკვლეული ორი კერამიკული ქურა, რომელიც სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება. კერძოდ მე-4 ტერასაზე აღმოჩენილია ძვ.წ. XI საუკუნით დათარიღებული ქურის ნაშთები, ხოლო მე-2 ტერასაზე გაითხარა ძვ.წ. VI საუკუნის კერამიკული ქურა, რომელშიც მხოლოდ გრაკლიანი გორისათვის დამახასიათებელი ნაცრისფერკეციანი, ცალყურა დოქები არის აღმოჩენილი.

მთელ აღმოსავლეთ საქართველოში უშუალო სამეთუნეო წარმოების იარაღი, სამეთუნეო მორგვი აღმოჩენილია მხოლოდ ხოვლეს ნასახლარის III ჰორიზონტში და ძვ.წ. VI საუკუნით თარღდება. ხოვლეს სამეთუნეო მორგვი იდენტურია კარმიმრბლურის პირველ ნაგებობაში აღმოჩენილი მორგვისა, რომელსაც ძვ.წ. VII-VI სს-ით ათარიღებენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაშრომის ძირითადი მიზანია ერთი კონკრეტული არტეფაქტის, ამ შემთხვევაში გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის, გარდამავალი პერიოდის თიხის კათხების მცირე ჯგუფის შესწავლა სამი ძირითადი ძეგლის მაგალითზე. ესენია თბილისი, ნარეკვაკი და ხოვლე, სადაც ამ ტიპის ჭურჭელი საკმაო რაოდენობითაა გამოვლენილი და ასევე კარგად შეინიშნება ფორმათა შორის გარკვეული მსგავსებები თუ სახეცვლილებები. ეს ნაშრომი არის ერთი კონკრეტული მცდელობა იმისა, რომ ფორმალისებული მეთოდების მიხედვით მოხდეს ჯერ მორფოლოგიური ნიშნეების გამოყოფა, ხოლო შემდგომ მათი შედარება ურთიერთმსგავსების/ განსხვავების დასადგენად.



შესაბამისად, შევეცდები ამ ნაშრომით გარკვეული ინტერპერაცია შევქმნა ყოფით ცხოვრებაში მათი როლის გამოსავლენად და აგრეთვე, წარმოვაჩინო ამ არტეფაქტის განვითარებისა და ჩამოყალიბების მოკლე სქემა, რომელიც მთლიანად ფორმალური ანალიზის შედეგს ემყარება. ამ შემთხვევაში გამოყენებულია მარტივი ალგორითმის ფორმულა, რომელიც მსგავსების კოეფიციენტის გამოსათვლელად გამოვიყენე. მიმაჩნია, რომ ამ კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად სწორედ ეს მარტივი ალგორითმია გამოსადეგი, თუმცა, სხვა შემთხვევაში შესაძლებელია გაცილებით რთული ფორმულის გამოყენება, როდესაც ხდება ყველა ცალკეული მორფოლოგიური ნიშნის მნიშვნელობის ანუ, როგორც სპეციალურ გაამოკვევებში მიუთითებენ, ნიშნის „წონის“ შეფასება.

## თავი I. კვლევის მეთოდოლოგია

არქეოლოგიურ ლიტერატურაში „ფორმალური ანალიზი“ და „ფორმალური სქემა“, ძირითადად მყარ მეთოდოლოგიასთან ასოცირდება. ტერმინი „ფორმალიზაცია“, როგორც წესი გამოყენებულია მეცნიერებაში განზოგადებული აზრით. ყველა ტიპის ფორმალიზაციის დროს ყოველთვის თან სდევს მკაცრი, ცოცხალი, განვითარებადი რეალობა. თუმცა, ეს „სიმკაცრე“ წარმოადგენს გვერდითი პროცესების შესწავლის ერთ-ერთ აუცილებელ გზას. ისტორიულად, ფორმალიზაცია აზროვნებასა და მეტყველებასთან ერთად გაჩნდა, ხოლო მისი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფეხურს დამწერლობის შექმნა წარმოადგენს. ხოლო შემდომში საფეხური მეცნიერების, კერძოდ კი მათემატიკის განვითარებას უკავშირდება. მათემატიკაში ლოგიკური გამოთვლების შესაძლებლობამ, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში დაინერგა, საშუალება მისცა მთელ რიგ მეცნიერებებს მისი გამოყენებისა.

არქეოლოგიის მთავარი განმასხვავებელს სხვა ისტორიული მეცნიერებებისგან ნივთიერი წყარო წარმოადგენს. სხვა ნებისმიერი ისტორიული წყაროსგან განსხვავებით ნივთიერი წყარი არ შეიცავს ცნობებს, რომლებიც ენობრივი საშუალებებით დასტურდება. ამასთან ნივთიერი წყარო ინახავს და ჩვენამდე მოქვს ისტორიულ ინფორმაციას. შესაბამისად, სრულიად ობიექტურად არსებობს ნივთიერი წყაროს „ენა“, რომელიც არქეოლოგიისთვის სრულიად გასაგებია.

პირველ შიდაარქეოლოგიურ პრობლემად, რომელიც ფორმალიზებურ ანალიზს მოითხოვს, შესაძლოა დავასახელოთ არქეოლოგიური ფაქტებისა და დაკვირვებების ზუსტი აღწერის ე.წ. „დისკრიპტული“ ანალიზის სიმცირე. ამ მხრივ უკვე განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებებისა, რომლებმაც საშუალებას გვაძლევს დესკრიპტული ანალიზის ჩატარებისა ყველა ტიპის არქეოლოგიურ წყაროზე. მათი ზუსტი აღწერის პრობლემას წარმოადგენს სპეციალური ენებისა და კოდების შემუშავებას.

მეორე პრობლემა ლოგიკურად ებმის პირველს. თუ ფაქტებისა და დაკვირვებების გადმოცემა მოითხოვს გარკვეულ ენას, მშინ რომელია ის ოპერაციები, რომელსაც არქეოლოგი მატერიალურ წყაროს უტარებს ისტორიული ინფორმაციის მისაღებად? იმისათვის, რომ თუნდაც რამდენიმე ქრეოლოგიური კვლევა ჩავატაროთ, აუცილებელია მათი ასევე ლოგიკისა და მათემატიკის დაყვანა. მსგავს კვლევებს წარმოადგენს, შედარება, ანალოგიების მოძიება, კლასიფიკაცია, ქრონოლოგიური ჯაჭვის აწყობა, სტატისტიკური დამუშავების ყველა ტიპი. ამ უკანასკნელებთან საქმე გაცილებით მარტივადაა, რადგანაც მათემატიკური სტატისტიკის გამოყენება უკვე მზა ფორმით შეგვიძლია მათ დასადგენად. ხოლო დანარჩენი „წმინდა არქეოლოგიურ“ კვლევებსა და სპეციალურ გადახედვას მოითხოვს.<sup>3</sup>

მათემატიკასა და სხვა მეცნიერებებში ფართოდ გამოიყენება ალგორითმი, რომლის მიხედვითაც თითოეული ობიექტის არა მხოლოდ მორფოლოგიური მახასიათებლები ჯგუფდება და გამოიყოფა, არამედ თითოეულ ამ მახასიათებელს ენიჭება „წონა“. მსგავსი კვლევა მაქსიმალურად გამორიცხავს შედეგის სუბიექტურობას, რადგან ჩვენ არა მხოლოდ საგნებს ვადარებთ ერთმანეთს მათი გარეგნული მახასიათებლების მიხედვით, რამედ ვითვალისწინებთ ამა თუ იმ მახასიათებლის „საჭიროებასაც“. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ მივიჩნით საჭიროდ მსგავსი კომპლექსური კვლევს ჩატარება და მისი შედეგებით გამარტივებული ვარიანტი ვარჩიეთ, რომელიც ნაშრომში წარმოდგენილია მარტივი ალგორითმის სახით.

ნაშრომის სრულყოფილად წარდგენისათვის, თავდაპირველად მოხდა შერჩეული ძეგლებიდან, ჩვენთვის საინტერესო მასალის მოძიება. ამისათვის ძირითად წყაროდ გამოყენებულია სამი ფუნდამენტური სახელმძღვანელო. ესენია: თბილის I, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა და ნარეკვავის არქეოლოგიური ძეგლები (ტაბ. I). საკვლევი მასალის არჩევის შემდეგ მოხდა მათი კონტექსტისა და ქრონოლოგიური ჩარჩოების დაზუსტება, რაც ქვემოთ, უფრო ვრცლად იქნება განხილული.

---

<sup>3</sup> Каменецкий И. С., Маршак Б. И., Шер Я.А., Москва, 1975 ст.3-9

ნაშრომის ძირითადი კვლევა დამყარებულია საკვლევი ობიექტის მსგავსების კოეფიციენტის გამოთვლაზე, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მარტივი ალგორითმის მეშვეობით განხორციელდა. ჩვენთვის საინტერესო მასალა დაიყო ძეგლების მიხედვით და თითოეულ ჭურჭელ მიენიჭა პირობითი ნიშანი. მაგალითად, თბილის I-დან აღებული ჭურჭელი პირობითად დაინომრა A1-A9, ნარეკვავის მასალა ნაშრომში წარმოდგენილია, როგორც B1-B21, ხოლო ხოვლედან აღებული კათხების მიენიჭა N C1-C5. A, B, და C ჯგუფებში, მორფოლოგიურ ნიშნებზე დაყრდნობით დიაგნოსტიკურ ორიენტირებად გამოყენებულია ჭურჭელის ყველა ძირითადი მახასიათებელი, რომელიც თავისმხრივ რამდენიმე ვარიანტით არის წარმოდგენილი. თითოეული ეს ელემენტი კონკრეტულ ჭურჭელზე არსებულ ცალკეულ ფორმათა ზოგადი მახასიათებლების მიხედვითაა დაჯგუფებული, რათა მაქსიმალურად მოხდეს მათ შორის არსებული მსგავსების ასახვა. ესენია - ჭურჭლის პირის, ტანის, ძირის, ყურისა და ორნამენტის მორფოლოგიური მახასიათებლები. პეციალურ ცხრილებში ნებისმიერი ჭურჭლის მიერ რომელიმე ნიშნის ფოლობა აღინიშნება ერთიანით. ხოლო უშუალოდ ორი ფორმის მსგავსების კოეფიციენტის გამოთვლისას გამოყენებულია ფორმულა  $F=S^2/KL$ , სადაც F მსგავსების კოეფიციენტია, S აღნიშნავს A1 და A2 ჭურჭლებს შორის დაგროვილი საერთო ნიშნების რაოდენობას, K- A1 ჭურჭლის, ხოლო L – A2 ჭურჭლის ნიშნულების რაოდენობას ცალ-ცალკე. მიღებული შედეგებით F მაჩვენებელი ყოველთვის მერყეობს 0-დან 1-მდე ( $1>F>0$ ). შესაბამისად, რაც უფრო მაღალია მაჩვენებელი, მით მეტია ჭურჭლებს შორის მსგავსება. ფორმულა ემყარება მეცნიერების სხვადასხვა დარგში ფართოდ დანერგილ ე.წ. არამყარ ლოგიკას, რომლის მიხედვითაც სიმართლის (ამ შემთხვევაში, მსგავსების) ხარისხი ყოველთვის 0-დან 1-მდე მერყეობს. თითოეული ჭურჭელი შედარებულია სამივე ჯგუფში გაერთიანებულ ყველა დანარჩენ ჭურჭელთან. მიღებული მონაცემები გამოსახულია სპეციალურ ცხრილში. კლასიფიკაციისთვის ფორმალიზებული მეთოდის გამოყენების მიზანია, მაქსიმალური სიზუსტით გამოისახოს ჭურჭლებს შორის არსებული მსგავსება/სხვაობა. ნაშრომში გამოყენებული მსგავსების კოეფიციენტის მარტივი ალგორითმის მეთოდოლოგია და მისი აღწერა ეყრდნობა გვანცა ვაჩაძის ნაშრომს - „ბრინჯაოს ზომორფული პლასტიკა

კოლხეთში და ინტერკულტურული ურთიერთობები ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარი“. თბილისი, 2019, გვ. 28-32.

გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ლიტერატურა, რათა ყურადღება გაგვემახვილებინა აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ შიდა ქართლის გეოგრაფიულ მდებარეობასა და სტრატეგიულობაზე. ესენია - კ. ფიცხელაური „აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ძირითადი პრობლემები“; ვ სადრაძე, თ, ხოხობაშვილი, ე. ლლიღვაშვილი - „შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ფართო ათვისების ხანის ნამოსახლარების კულტურა (ძვ.წ. XIV-VI სს.)“.

პოსტპროცესუალური არქეოლოგიის მიზნებისა და ამოცანების განსახილველად გამოყენებულია რუსუდან კაჭარავას თავმანი ნაშრომისა - Colin Renfrew, Paul Bahn – Archaeology; 6<sup>th</sup> edition; London, 2012. სადაც, არაჩვეულებრივად არის გადმოცემული თანამედროვე არქეოლოგიური კვლევების ძირითადი პოსტულატი.

ნაშრომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავს ტერმინის იდენტიფიცირება წარმოადგენს რისთვისაც გამოყენებულია, როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ეტიმოლოგიური ლექსიკონები. მათი დახმარებით, შესაძლებელი გახდა ტერმინის ფუნქციური დატვირთვის, ეტიმოლოგიისა და სალიტერატურო ენაში დამკვიდრების პერიოდის მეტ-ნაკლებად დადგენა. ესენია - ინგა ბეზიას, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილ დისერტაცია - „სამიწათმოქმედო ლექსიკა მეგრულში“; თავი V - მარცვლეულისა და მიწის საზომ-საწყაოების აღმნიშვნელი ლექსიკა; ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, ნაჭილი I (ა-მ); სულხან-საბა ორბელიანი, რომლის ლექსიკონი - „სიტყვის კონა“; <http://ena.ge/explanatory-online>.

## 1.1 პოსტპროცესუალური არქეოლოგია

არქეოლოგიის თანამედროვე მეთოდოლოგია გულისმობს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცბიერებათ მაქსიმალურ გამოყენებას როგორც საველე, ისე ლაბორატორიული სამუშაოების დროს. მიუხედავად ინტერდისციპლინარულ მეთოდებთან ასეთი ინტესიური „დაახლოებისა“, არქეოლოგიის როგორც დისციპლინის

პრობლემად მაინც რჩება სუბიექტური შეფასების შესაძლებლობა კვლევების პროცესში. ამ მხრივ მართებულად მიმაჩნია ის პოზიცია, რომელიც პოსტპროცესული არქეოლოგიის ძირითად პოსტულატს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ პროსტპროცესუალური არქეოლოგია, ვითარდება რამოდენიმე ძირითადი მიმართულებებით. ესენია: ნეო-მარქსისტული-ელემენტი, პოსტპოზიტივისტური მიდგომა, ფენომენოლოგიური მიდგომა, პრაქტიკული მიდგომა და ჰერმენევტიკული ანუ ინტერპრეტაციული თვალთახედვა.

*პოსტპროცესუალიზმი* წარმოადგენს კრებით ტერმინს, რომელიც აერთიანებს მთელ რიგ მიდგომებს წარსულისადმი. თითოეული მათგანის ფესვები მოიძებნება აზროვნების პოსტმოდერნისტულ მიმდინარეობაში, რომელიც 1980-1990 წლებში განვითარდა.

*ნეო-მარქსისტული* ელემენტი ჩაბმულია სოციალური თვითშეგნების შენებაში, რომლის მთავარი აზრია ის რომ, არქეოლოგის მოვალეობა მხოლოდ წარსულის აღწერა არაა, არამედ ამ ცოდნის გამოყენებაა, არსებული სამყაროს შესაცვლელად. ეს მოსაზრება მკვეთრად განსხვავდება იმ მიდგომისგან, რომელსაც პროცესული არქეოლოგიის ბევრი მიმდევარი ავლენს ობიექტური რეალობის მიმართ.

*პოსტპოზიტივისტური* მიდგომა უარყოფს აქცენტირებას სამეცნიერო მეთოდის სისტემურ პროცედურებზე. იგი წარმოადგენს „დომინირების სისტემების“ განუყრელ ნაწილს, რომლის დახმარებითაც კაპიტალისტური ძალები ახორციელებენ თავიანთ „ჰეგემონიას“. აქცენტირება სამეცნიერო მეთოდების სისტემურებაზე პროცესული არქეოლოგიის ისეტი ნიშანთვისებაა, რომელიც რიგ შემთხვევაში თანამედროვე მეცნიერებას ინდივიდის მიმართ მრტულად განაწყობს.

*ფენომენოლოგიური* მიდგომა უპირატესობას ანიჭებს ინდივიდის პრად გამოცდილებას და იმას, თუ როგორ ხდება მისი ურთიერთობა მატერიალურ სამყაროსთან და საგნებთან, რომლებიც აყალიბებს სამყაროს შესახებ ჩვენ წარმოდგენებს. მაგალითად შეგვიძლია ლანდშაფტის არქეოლოგია განვიხილოთ, სადაც არქეოლოგი ცდილობს ადამიანის მიერ ლანდშაფტის ფორმირებით მიღებული

გამოცდილება. თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ლანდშაფტი ადამიანის ზეგავლენის შედეგად.

ხოლო *პრაქტიკული* მიდგომა ყურადღებას ამახვილებს ადამიანის „ფაქტორის“ ცენტრალურ როლზე და სოციალური სტრუქტურის ფორმირებაში ადამიანის ქმედებების უმტავრეს მნიშვნელობაზე. Habitus-ის ცნება ასევე ასახავს ადამიანის მიერ გამოყენებულ, ჩამოუყალიბებელ პრინციპებსაც, რომლებიც სტრატეგიის შექმნაში ეხმარება ინდივიდს.

ჰერმენევტიკული ანუ ინტერპრეტაციული თვალთახედვა უარყოფს განზოგადებას, რომელიც პროცესუალური არქეოლოგიის კიდევ ერთ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. ჰერმენევტიკული თვალთახედვა ხაზს უსხვამს თითოეული კულტურის უნიკალურობასა და მხარს უჭერს თითოეული მათგანის სრული კონტექსტიტ შესწავლის საჭიროებას, მთელი მათი მდიდარი მრავალფეროვნებით. ამ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება მკვეთრად უარყოფს მხოლოდ ერთი სწორი ინტერპრეტაციის არსებობას, რადგან თითოეულ დამკვირვებელსა თუ ანალიტიკოს უფლება აქვს თავისი საკუთარი წარმოდგენა ჰქონდეს წარსულის შესახებ. რაც მოგვცემს მოსაზრებათა მრავალფეროვნებასა და პერსპექტივის ფართო სპექტრს. სწორედ ამიტომ ამახვილებენ ყურადღებას ინტერდისციპლინარულ არქეოლოგიაზე.

თემა, რომელიც პოსტპროცესუალურმა არქეოლოგიამ წამოწია წინ, არის იმ როლის მზარდი აღიარება, რომელსაც თავად არტეფაქტები - მატერიალური ნივთები - თამაშობს ადამიანური ურთიერთობების განვითარებაში და, აგრეთვე, სოციალური და ტექნოლოგიური ცვლილებების ხელშეწყობაში. ასეთი თვალსაზრისი ცილდება კარლ მარქსის მსგავსი ეკონომისტ-ფილოსოფოების მატერიალიზმს და უფრო დეტალურად განიხილავს იმ სიმბოლურ როლს, რომელიც არტეფაქტებმა შეასრულეს ადამიანის საზოგადოების ფორმირებაში. იგი, აგრეთვე მოიაზრებს ადამიანისა თუ ნივთის ფაქტორის გათვალისწინებას. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ინტერესის კიდევ ერთი საგანი გახდა ადამიანის სხეული. კერძოდ კი, როგორ იყო ის განხილული, გააზრებული და სიმბოლურად წარმოდგენილი სხვადასხვა საზოგადოებაში.<sup>4</sup>

<sup>4</sup> Colin Renfrew, Paul Bahn – Archaeology; 6<sup>th</sup> edition; London, 2012. P.44-45

ზოგიერთი განსაკუთრებით საინტერესო გამოკვლევა ისეთ თემებზე, როგორცაა რთული საზოგადოებების წარმოქმნა, ახალი ინტერპრეტაციული (პოსტ-პროცესუალური) ტრადიციის მიღმა ტარდება ისეთი მეცნიერების მიერ, როგორებიც არიან კენტ ფლანერი (Kent Flannery), ჰენრი რაითი (Henry Wright) და ტიმ ეარლი (Tim Earle). მათ სურთ კულტურათაშორისი შედარებების ჩატარება უფრო ზოგადი ჩარჩოების ფარგლებში. პალეოლითურ პერიოდში მომხდარი მოვლენების შესწავლა, რომლებიც დაკავშირებულია ადრინდელი ადამიანის განვითარებასთან, უნდა ასევე განხორციელდეს სხვადასხვა კონტინენტზე მოპოვებული ჰომინინის განამარხებული ნაშთებისა და მატერიალური კულტურის შედარების გზით. ადამიანის შემეცნებითი უნარის განვითარებასთან დაკავშირებული კითხვები, რა თქმა უნდა, განახლდება, მაგრამ დისკუსიის ინტელექტუალური კონტექსტი ძირითადად პროცესუალური (ან შემეცნებით-პროცესუალური) და სამეცნიერო ტრადიციის ფარგლებში დარჩება. რაც შეეხება სხვა პერიოდებს, განსაკუთრებით იმ პერიოდებს, როცა არქეოლოგიას დახმარებას ტექსტური მასალა უწევს, აქ ფართოდ არის გავრცელებული ინტერპრეტაციული მიდგომები.

საკმაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესოა აგრეთვე პოსტპროცესუალური არქეოლოგიის პრობლემური საკითხების ჩამოყალიბებისა და გადაჭრის გზები, რომელსაც მოკლედ წარმოგდგენთ.

*„საკითხები, რომელთა ერთმანეთთან შედარება შეიძლება, კვლავ იჩენდა თავს განვითარებად ადგილობრივ არქეოლოგიებში, რომლებიც იმპერიული ძალის ზეგავლენისაგან განთავისუფლებულ, ყოფილი კოლონიების ტერიტორიებზე განვითარდნენ. კულტურული მემკვიდრეობის მართვისათვის საჭირო სათანადო პოლიტიკაში, რა თქმა უნდა, თავად კულტურული მემკვიდრეობის ბუნება იქცევა ხოლმე საჯილდაო ქვად დაინტერესებულ, ერთმანეთის მოქიშპე ჯგუფებს, ხანდახან ეთნიკურ შტოებს, შორის. მარგინალური ჯგუფები, ისეთები, როგორებიც არიან ავსტრალიელი აბორიგენები, ცდილობენ საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრასა და მის მენეჯმენტში უფრო დიდი გავლენის მოპოვებას. ისინი ხშირად აწყდებიან მათი ინტერესების იგნორირებას ან არასწორად გაგებას.*



უფრო ღრმა ხასიათის კითხვები წამოიჭრება „გლობალიზაციის“ პროცესის ბუნების ირგვლივ, რომელიც თავად დასავლეთში განვითარებული, ტექნოლოგიური პროგრესის შედეგია; აგრეთვე, ერთხმად აღიარებული, „კულტურული მემკვიდრეობის“ ცნების ბუნების საკითხი, რომელიც, სავარაუდოდ, სულაც არ არის დასავლური აზროვნების პროდუქტი. პოსტკოლონიალური პერიოდის ფილოსოფოსები დასავლეთში ჩასახულ, კულტურული მემკვიდრეობის მართვის ცნებას აღიქვამენ დასავლური ფასეულობების თავს მოხვევად, ხოლო ოფიციალურად დადასტურებულ „კულტურული მემკვიდრეობის“ ცნებას - როგორც შესაძლო გზას ჰომოგენიზაციისა და კულტურული მრავალფეროვნების სათანადოდ დაუფასებლობისაკენ. ამ კრიტიკის თანახმად, „მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების“ სიაში, რომლის სპონსორი UNESCO არის, დასავლურ ყაიდაზე ფორმულირებული „მემკვიდრეობის“ ცნებები დომინირებს.

იგივე კითხვები გაუჩნდათ დასავლეთ ევროპის არქეოლოგებსაც. ბოლო საუკუნეების (რამდენიმე უკანასკნელი საუკუნიდან დღემდე) არქეოლოგიის მიმართ ინტერესი სულ უფრო იზრდება. „კულტურული მემკვიდრეობა“ კი გადაიქცა ტერმინად, რომლის ზუსტი მნიშვნელობა ხშირად სადავოა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ათასწლეულის დასაწყისში არქეოლოგიის ზოგიერთი ასპექტი გარდაუვალად სადავო იყო, ისინი, ამავდროულად, ძალიან პოზიტიურიც იყო. ეს ასპექტები ხაზს უსვამდა წარსულის მნიშვნელობას თანამედროვე სამყაროსათვის. მათი დახმარებით მოხდა იმის აღქმა, რომ კულტურული მემკვიდრეობა ადამიანის გარემოს მნიშვნელოვანი ნაწილია და ზოგ შემთხვევაში, ისეთივე მყიფე, როგორც ბუნებრივი გარემო. ისინი მიანიშნებენ, რომ დღევანდელი სამყაროს დაბალანსებული ხედვის მიღწევაში არქეოლოგს შეუძლია მნიშვნელოვანი როლის თამაში. დღევანდელი სამყარო კი გარდაუვალი პროდუქტია მისი წინამორბედებისა. ახლა ინტერპრეტაციის მიზანი ბევრად უფრო რთული ჩანს, ვიდრე ოდესმე. ეს

ყველაფერი „უმანკობის დაკარგვის“ ნაწილია, რაც ახალ არქეოლოგიას თან ახლდა 40 წელზე მეტი ხნის წინ.“<sup>5</sup>

## 1.2 ტერმინის იდენტიფიცირებისთვის

როგორც უკვე აღინიშნა, ქართულ არქეოლოგიაში ერთი და იგივე მორფოლოგიური ნიშნების მატარებელი ჭურჭელი, ამ შემთხვევაში ე.წ. „კათხა/ტოლჩა“, რომელთა რიცხობრივი მახასიათებელი იდენტურია - ამ ორი სხვადასხვა ტერმინით აღინიშნება. ლიტერატურაში არ არის დაზუსტებული, არა მარტო თითოეული ამ ტერმინის თვისობრივი მახასიათებელი, არამედ, ხშირ შემთხვევაში, გვიჩნდება ეჭვი, რომ ეს ტერმინები მხოლოდ პირობითი სახელის აღმნიშვნელია. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ „თბილისი I“, სადაც ჩემს საკვლევ მასალად შერჩეული ტიპის ჭურჭელი ყოველთვის „ტოლჩა“-დ არის ნახსენები. გარდა ამისა, ნაშრომში - „ნარეკვავის არქეოლოგიური ძეგლები“, რომელიც წარმოადგენს ძეგლის სრულყოფილ, ორენოვან კატალოგს, იგივე ტიპის ჭურჭელი რიგშემთხვევაში ნახსენებია, როგორც - „ტოლჩა“, „ტოლჩისებური ჭურჭელი“, „ჭიქა“ ან „კათხა“. თუმცა, ჭურჭლებს შორის არსებითი განსხვავება არ ფიქსირდება. კვლევისთვის შერჩეული ყველა მასალებიდან ყველა მათგანი წარმოადგენს ერთი ტიპის ჭურჭლის გარკვეულ ვარიაციებს. გარკვეული სხვაობა ფიქსირდება ზომებში, თუმცა, უმნიშვნელო, რაც დაახლოებით 5-7სმ-ია ზოგ შემთხვევაში. სავარაუდოა, რომ თითოეული მათგანს, მიუხედავად მცირე მორფოლოგიური სხვაობისა ერთი და იმავე ფუნქციური დატვირთვა უნდა ჰქონოდა. ამის დასადასტურებლად, რა თქმა უნდა, აუცილებელია შემდგომი კვლევა და საჭირო ანალიზების ჩატარება.

ფაქტი, რომ ტერმინი არ არის განსაზღვრული საკმაოდ ართულებს მასალაზე მუშაობის პროცესს და მის შესწავლას. ამიტომ, გადავწყვიტეთ კვლევის ერთ-ერთი პუნქტი, სწორედ ტერმინის იდენტიფიცირება ყოფილიყო, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ მსგავსი ტიპის სირთულეები. ამ პრობლემის გადასაჭრელად მოძიებულ იქნა სხვადასხვა ლექსიკონები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი გახდებოდა

<sup>5</sup> ნაშრომში გამოყენებულია რუსუდან კაჭარავას თარგმანი ნაშრომისა - Colin Renfrew, Paul Bahn, London, 2012. P.44-45

ტერმინის ფუნქციური დატვირთვის, ეტიმოლოგიისა და სალიტერატურო ენაში დამკვიდრების მეტ-ნაკლებად დადგენა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სულხან-საბა ორბელიანი, რომლის ლექსიკონი - „სიტყვის კონა“-ზე მუშაობა ავტორმა 1713 წელს დაამთავრა და პირველად 1884 წელს გამოიცა რაფიელ არისტავის რედაქტორობით, არ იცნობს ტერმინს „ტოლჩა“. ამასთან, განსაზღვრულია ტერმინი - კათხა, როგორც ხის სასმისი.<sup>6</sup> უნდა ვივარაუდოთ რომ ტერმინი - ტოლჩა, ქართულ ენაში შემოსული და დამკვიდრებულია მოგვიანო პერიოდში.

ენის განმარტებით ლექსიკონში<sup>7</sup> ტოლჩა განმარტებულია შემდეგნაირად: - *„ტოლჩა [სპარ. დულჩე] ლითონის (სპილენძის, თითბირის...) ან ფაიფურის პირღია ყურიანი ჭურჭელი.“*

ამავდროულად, ამავე ლექსიკონში ტერმინი - კათხა განმარტებულია, როგორც - ხის მოზრდილი სასმისი. განმარტებითი ლექსიკონის ავტორებმა სულხან-საბას განმარტებას დაუმატეს განზომილება/მოცულობა - „მოზრდილი“. ეს მოსაზრება ემყარება ქართულ ლიტერატურაში არსებულ პარამეტრებს. კერძოდ, *„უშველვებელი ხის კათხით მოიყუდა [კუზმამ] თაფლის რანგი და ბოლომდე დაცალა“ - შალვა დადიანი.<sup>8</sup>*

გარდა ამისა, საყურადღებოა ასევე ის ფაქტიც, რომ *„ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი (ნაწილი I. ა-მ)“*ში კათხის განმარტება გვხვდება შემდეგნაირად: *„ფეხიანი ხის სასმისი.“* აქვე, მითითებულია ინფორმაცია, რომ *„ქართველ ტომებში დიდი ყურადღება ექცეოდა რიტუალურ სმასა და სარიტუალო სასმისებს, რის გარეშეც არც ერთი საზოგადოებრივი სადღიმი ტუ სარიტუალო ქმედება არ სრულდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, რომლის ყოფის ორგანული ნაწილია ლუდის კულტურა, სასმისთა ისეთი ნაირგვარი ტიპები წარმოიშვა, როგორიცაა: კათხა, კომი, ტარკოშა, კონჩხა, თასი, მოდიმოდმართა, სამთვალა, ბარძიმი, სირჩა და სხვა. კათხა ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში.“*

<sup>6</sup> სულხან-საბა ორბელიანი ქართულის ლექსიკონი „სიტყვის კონა“

<sup>7</sup> <http://ena.ge/explanatory-online>

<sup>8</sup> <http://ena.ge/explanatory-online>

ეთნოგრაფიულ ყოფაში მისი ნაირგვარი ვარიაციები დასტურდება. ზოგ კათხაში 5-6 ლიტრი სასმელი ჩადიოდა, ზოგი კი მხოლოდ ერთ ღვინის ჭიქას ეტეოდა.<sup>9</sup>

ამავე ლექსიკონში - ტოლჩა განმარტებულია, როგორც - „სანიადაგოდ სახმარი, ხელიანი წყლის ჭურჭელი. მზადდებოდა, როგორც ლითონის, ასევე თიხისგან“.

ექვგარეშეა, რომ ტოლჩა ქათულ ლექსიკაში მოგვიანებით შემოსული და დამკვიდრებული ტერმინია, რომელიც სავარაუდოდ ირანულ ნასესხობას უნდა წარმოადგენდეს ქართულში. თუმცა მეტად საინტერესოა ტერმინი კათხის ეტიმოლოგია, რადგან იგი ფიქსირდება არა ერთ ლექსიკონში, განსხვავებით ტოლჩისაგან, რომელიც, როგორც ვნახეთ სულხან-საბასთან საერთოდ არ გვხვდება. ამ მხრივ, მნიშვნელოვან ინფორმაციას მივაკვლიეთ ინგა ბეზიას, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილ დისერტაციაში - „სამიწათმოქმედო ლექსიკა მეგრულში“: სადაც განმარტებულია, რომ - „კოთხო - საერთო ქართველური ენობრივი ერთობის დროინდელი სიტყვაა. მას კანონზომიერი შესატყვისი გააჩნია ქართულსა და სხვანურში (ქართ. კათხა; სვან. კათხ). ზანური ფუძე - კოთხო შესულია, როგორც დასავლურ ქართულ დიალექტებში, ასევე სალიტერატურო ქართულში. სვანური ფუძის აუსლაუტში ნულოვანი რეფლექტი გვაქვს, რადგან სვანურს ასეთ პოზიციაში - ა ხმოვანის მოკვეცა ახასიათებს(აბაშია, 200, გვ. 10-11).

კოთხო მეგრულ-ჭანების დღევანდელი და ისტორიული განსახლების არეალში იყო გავრცელებული მარცვლისა და პარკოსნების საზომად. 1800 წლის ერთ დოკუმენტში დასახელებულია „ათი კოთხო ღომი“ (კაკაბაძე, 1925, გვ.70) და 1848 წელს შედგენილ ცაიშის ეკლესიის მიცემებელ გლეხთა მოსაკრებელის დავთარში „ერთი კოთხო ღობიო“ (ტულუში, 2000, გვ. 109-131). კოთხო/კორთხო-ში ნახევარი ფუთი სიმინდის მარცვალი ეტევა (ბეზია, დღიური, გვ. 20)<sup>10</sup>.

<sup>9</sup> ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, ნაჭილი I (ა-მ)

<sup>10</sup> ინგა ბეზიას, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილ დისერტაციაში - „სამიწათმოქმედო ლექსიკა მეგრულში“. თავი V - მარცვლეულისა და მიწის საზომ-საწყაოების აღმნიშვნელი ლექსიკა.

მოცემული ინფორმაციის საფუძველზე მართებულად მიგვაჩნია, რომ კვლევის პროცესში გამოვიყენოთ ტერმინი, რომელსაც ქართული ძირი აქვს და არ წარმოადგენს ნასესხობას რომელიმე სხვა ენიდან. ამ შემთხვევაში, ეს გახლავთ ტერმინი - *კათხა*, რომელიც საკმაოდ კარგად შეესაბამება ჩვენი საკვლევი ჭურჭლისთვის დამახასიათებელ მორფოლოგიურ თვისებებს.

## თავი II. არქეოლოგიური კონტექსტი

### 2.1 თრელის სამაროვნის ძვ.წ. XIII-XII საუკუნეების სამარხები

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი საკვლევი მასალის უძველესი ერთეულები სწორედ თრელის სამაროვანზეა გამოვლენილი, საჭიროდ ვთვლით, სწორედ მათი განხილვით დავიწყოთ ნაშრომი.

თრელის სამაროვანზე 1970-75 წლებში ძვ.წ. XIII-XII საუკუნეების 42 სამარხი გაითხარა, რომელიც მრავლად შეიცავდა, როგორც სხვადასხვა თიხის ჭურჭელს, ისე ლითონის ნივთებსა და სამკაულებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ პერიოდის სამარხებში გამოვლენილი კათხები, რომლებიც ნაშრომში ორ ჯგუფადაა წარმოდგენილი. ესენია: „ძირდაქანებული კათხები“ და „ცილინდრული ფორმის კათხები“ (ტაბ. II).

ე.წ. „ძირდაქანებული კათხა“ თრელის სამაროვანზე სულ 27 ერთეულითაა წარმოდგენილი. აქედან 15 ძვ.წ. XIII-XII სს-ით თარიღდება. აღნიშნული ტიპის ტოლჩებისთვის დამახასიათებელია ოდნავ წელში გამოყვანილი, მკვეთრად ძირდაქანებული ტანი და ერთი ყური. მათი ზედაპირი და კეცი ძირითადად ლეგა-მოშავო ან ლეგა-მორუხია. რამდენიმე ჭურჭლის კეცი კი მოწითალო ფერისაა. ჩვეულებრივ ზედაპირი კარგად არის მოგლუვებული, ერთი ჭურჭელი კი მქისე თიხისგანაა დამზადებული. ხშირად მათ პირს ქვემოთ გარსშემოუყვება ერთი, ორი ან სამი ამოღარული ზოლი. გვხვდება ზოომორფულყურიანი (როლებსაც ყურის ზედა ნაწილზე დაძერწილი აქვთ უნაგირის ფორმის ლილვაკი) და ტანგოფრირებული ტოლჩები (ნახ.52.64). ზემოაღნიშნული ჭურჭლისგან რამდენადმე განსხვავდება N547 მოზრდილი კათხა, რომელიც პირს ქვევით სამი კონცენტრული რარით, ხოლო ტანზე კი გაპრიალების ტექნიკით დატანილი ზოლებითაა შემკული. ცალკე დგას აგრეთვე N41 სამარხის სასმისი, რომელსაც ფინჯნის ფორმა აქვს (ნახ.62 N636) ჩვენთვის საინტერესო ტოლჩებთან ფორმით ახლოს დგას N12 სამარხის N512 და 519 სასმისები, რომლებსაც ტოლჩებისგან განსხვავებით ყური არ აქვს. აღნიშნული სასმისები და ტოლჩები გვხვდება სამთავროს სამაროვანზე როგორც XIV ს-ის ისე XIII-XII სს-ის სამარხებს.

მათგან ერთი ნაწილი ტანგოფრირებულია. მეორე კი სადაა. ავტორს მსგავსი ფორმის ტანგოფრირებული ტოლჩები ხელნაწერებისა და ანგარიშების საფუძველზე დასახელებული აქვს შემდეგი ძეგლებიდან: ნარეკვავისა და ნავთლუღის სამაროვნებიდან. იქვე აღნიშნავს, რომ ამ ტოლჩებთან თავისი ფორმით ახლოს დგას წინწყაროს, წოფის, გულგულასა და თეთრიწყლების<sup>11</sup> სამაროვნებზე აღმოჩენილი ტოლჩები. მათ შიდაქართლული ტოლჩებისგან განსხვავებით, ყური უშუალოდ პირიდან ეწყებათ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წინწყაროს, წოფისა და თეთრიწყლების ტოლჩები უფრო მოგვიანო პერიოდს რკინის ფართო ათვისების ხანას მეკუთვნება.<sup>12</sup>

„ცილინდრული კათხა“ თრელის სამაროვანზე ძვ.წ. XIII-XII ს-ის სამარხებში 14 ცალია აღმოჩენილი. ყველა მათგანს ცილინდრული ფორმის, ზედა ნაწილში ოდნავ გადაშლილი ტანი და თითო ზოომორფული ყური აქვს. მათი ზედაპირი და კეცი ძირითადად ლეგა-მონაცრისფრო ან მოშავოა. ერთ ნაწილში ზედაპირი კარგად მოგლუვებული აქვს, ნაწილი კი მქისე თიხისგანაა დამზადებული. ყველა მათგანს პირთან თითო ამოდარული ზოლი შემოუყვება, გამონაკლისი, მხოლოდ N718 ჭურჭელია, რომლის ზოლი რელიეფურია.

მსგავსი ტიპის კათხები ძვ.წ. XIII-XII ს-ით თარიღდება. ანალოგიური სახის კათხები გვხვდება შიდა ქართლში ნავთლუღის, სამთავროსა და არმაზისხევის სამაროვნებზე, აგრეთვე ნაცარგორაზე ცხინვალში და იშვიათად ქვემოქართლის (ბეშთაშენის) ტერიტორიაზე. თრელი გორებიდან შერჩეული მასალა პირობითად დაინომრა A1-დან A9-მდე.

## 2.2 ნარეკვავის არქეოლოგიური ძეგლები

მცხეთის შემოგარენში, მდ. ნარეკვავთან სხვადასხვა დროს აღმოჩნდა ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები. 1960 წელს ა. კალანდაძის ხელმძღვანელობით მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხრების შედეგად გამოავლინა გვიან

<sup>11</sup> მითითებულ ძეგლებზე ავტორის მიერ მოყვანილი ინფორმაცია ხელნაწერებისა და ანგარიშების ეფუძნება.

<sup>12</sup> თბილისი არქეოლოგიური ძეგლები I, მეთნიერება, 1978. რედაქტორი რ. აბრამიშვილი. გვ. 135-138

ბრინჯა-ადრე რკინის ხანს სამარხეული კომპლექსები. სამაროვანის სამხრეთი-დასავლეთით აღმოჩნდა მისი სინქრონული ნამოსახლარი გორა.

1998 წელს ვ. ნიკოლაიშვილის ხელმძღვანელობით მცხეთის არქეოლოგიურმა რაზმმა შეისწავლა 42 ქაყრილიანი ორმო-სამარხი. თითქმის ყველა სამარხი ინდივიდუალური იყო. სამარხები მჭდროდაა ერთმანეთთან განლაგებული. ზოგ შემთხვევაში ისინი ერთ ვერტიკალში, ერთმანეთზეა გამართული, რაც შედარებითი ქრონოლოგიის დადგენის საშუალებას იძლევა. მიცვალებულთა უმრავლესბა სარეცელზეა დაკრძალული, ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავი ტ ძირითადად ჩრდილოეთით ან თრდილო-აღმოსავლეთით ორიენტირებული.

ნარეკვავის სამაროვანზე აღმოჩენილი სამარხები ზოგადად ძვწ. VIII-VI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. ნაწილი კი შესაძლოა ძვ.წ. Vს-ს მივაკუთვნოთ. ძეგლზე გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანის პერიოდის საყოფაცხოვრებო ჭურჭელი წარმოდგენილია კოჭობების, ლანგრების, ჯამების, თასების, ქოთნების, დერგების, ხელადების, დოქების, ჩაფების, ტოლჩების, ტოლჩისებური სასმისებისა და კათხების სახით. ჩვენი საკვლევი ობიექტს სწორედ კათხები წარმოადგენენ, რომელთა უმეტესობა, სამარხეული კომპლექსებიდანაა, სულ 21 ერთეულის სახით წარმოდგენილი (ტაბ. III). ჭურჭელი პირობითად დაინომრა B1-დან B21-მდე. წარმოგიდგენთ ნარეკვავის სამაროვანზე დადსტურებული კათხების აღწერას რომელიც მთლიანად აღებულია „ნარეკვავის არეოლოგიური ძეგლები“-დან.<sup>13</sup>

B1 (900) - კათხა - შავად გამომწვარი. უსწორმასწორო. ზედააპირზე კირის ჩანართები აქვს (ხელითაა ნაძეწი). პირი მრგვალი აქვს, ტანი ცილინდრული - ოდნავ გამოზერილი, ძირი ბრტყელი. ოთხკუთხა განივკვეთიანი ზოომორფული ყურს ქვემოთ და ტანზე ირიბად აქვს დაძეწილი, პირს ქვემოთ ამოღარული სარტყელი ემჩნევა.

B2 (902) - კათხა - მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი. პირი მრგვალი აქვს, ტანი - ცილინდრული - ოდნავ შეზნექილი, ძირი - ბრტყელი. ოთხკუთხა ყური პირს ქვემოთ

<sup>13</sup> შენიშვნა: ნუმერაციისას ფრჩხილებში ჩასმული რიცხვი წარმოადგენს შესაბამის ლიტერატურაში აღწერილი ჭურჭლის ორიგინალ ნომერს.



და ძირთანაა დაძერწილი. პირს ქვემოთ სარტყელი შემოსდევს. სიმაღლე - 7,8სმ, პირის დმ - 7 სმ, ძირის დმ - 7სმ.

B3 (947) კათხა - მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი თიხისა, პირჩამომტვრეულია, კეცი გადანატეხში მოშავო-ქვიშანარევი. პირი მრგვალი აქვს ოდნავ დაბრტყელებული. ტანი გამობერილი - ძირისკენ თანაბრად შევიწროებული; ძირი - ბრტყელი. პირს ქვემოთ ტანზე განივკვეთში მომრგვალებულ-ოთხკუთხა ზოომორფული ყურია დაძერწილი (გარედან წ.წ ლენტისებური ჩაღრმავება ემჩნევა) ზედაპირზე ღრმუკები ატყვია, უხეში ნახელავია, ხელითაა დაძერწი. სიმაღლე - 12სმ, პირის დმ - 9სმ, ტანის დმ - 9,6სმ, ძირის დმ - 7,2სმ.

